მარიამ მსხალაძე

კავკასიის მედიის სკოლა

სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი, თურქეთი

,,საზღვარგარეთ სწავლა ცხოვრების ყველა ეტაპზე იყო ჩემი თანმდევი მიზანი, თუმცა არასდროს მიფიქრია თუ ამ ყველაფერს სტამბულით დავიწყებდი.

სტამბული არის უდიდესი კულტურისა და ისტორიის ნაზავი. ყოველი დღე ამ ქალაქში არის თავგადასავალი, რომელიც გიცვლის და გიმრავალფეროვნებს პერსპექტივებს. სტამბულს აქვს მაგიური ენერგია, სწორედ ამიტომ პირველივე წამიდან ხდება ის შენი ქალაქი.

ბილგის უნივერსიტეტი თავისი ატმოსფეროთი მაქსიმალურად გიწყობს ხელს ჯანსაღი კომფორტის ზონის შექმნაში. სწავლის თანამედროვე მეთოდები ბოლომდე სტუდენტზეა მორგებული და ეხმარება პიროვნულ და კარიერულ ზრდაში. სტამბულში თავი სრულიად სხვა სფეროებში გამოვცადე, გაცვლითი პროგრამა სწორედ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ახალი, განსხვავებული გამოცდილებებით საკუთარი თავი მრავალმხრივ შემოქმედებითად გაზარდო.

ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალური, კულტურული და პოლიტიკური დისკუსიების დამყარებას და გაცვლას უცხოელ მეგობრებთან და თანატოლებთან. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ძალიან რთული იყო მისგან დისტანცირება, თუმცა ამ თემებზე ქვეყნის გარე საზოგადოებაში ცნობიერების ოდნავი გაზრდით, ცოტათი მიმსუბუქდებოდა მდგომარეობა. სწორედ ეს არის გაცვლითი პროგრამა, არასდროს ხარ მზად ქვეყანათაშორის მსგავსებებისა და განსხვავებებისთვის, უცხო ადამიანებისგან მიღებული თანადგომისთვის და სრულიად განსხვავებულ გარემოში დაუვიწყარი ემოციებისთვის.’’